№ 97
სამშაბათი, 7 მაისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 97
სამშაბათი, 7 მაისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 70 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 55 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 მაისს.**

ოთხშაბათს, 11 მაისს

ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომში ლოტრანგთა საქველ-მოქმედო დედათა საზოგადოებისაგან გამართული იქნება

ლატარია·

დაუკრავს მუსიკა.

დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზედ.
შესასვლელი ფასი ერთი აბაზი.
ყმაწვილები იხდიან ნახევარს.

(3—1288—1)

გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“ ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში არსდება ზემოხსენებული სავაჭრო ამხანაგობა. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საჭირო ცნობათა მისაღებად და ამხანაგობაში წევრად შესასვლელად ქ. ოზურგეთში დროებით ამორჩეულს გამგეობას ამხანაგობისას და ამხანაგობის აგენტებს: ტფილისში—ბ. ალექსანდრე თოიძეს (პურ-ღვინოს სასტუმროში); ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილს (წიგნის მაღაზიაში), ბათუმში—ქ. ნინო დავითის ასულს ქიქოძისას (საკუთარს სახლებში), განჯაში—ბ-ნ სოლომონ დოლიძესა და რაჭაში—აგრონომს თ. ერმილე ნაკაშიძეს.

გამგეობა: { კ. თავართქილაძე. ვ. ხუნდაძე. იაგ. თაყაიშვილი.

## შემოწირულება

—

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულს ლატარია-ალეგრის შემოსწირეს:

ელისაბედ გრიგოლის ასულმა სიდამონოვ-ერისთავისამ ნაკერი ბალიში;

ქალ—ნმა თ. ბ.—ნაკერი ბალიში; ქ—მა სოფიო პავლეს ასულმა იეზაშვილისამ—ახალციხური ხელოვნების გულის ქინძისთავები (სამი), ვერცხლისანი, ერთი-კი ოქროში დაფერილი;

კახელ მევენახეთა ამხანაგობამ—30 ბოთლი და ერთი პატარა კასრი ღვინო. კონსტანცია მეფისაშვილმა—ორი ბრელოკი და კალმის დანა;

ფ. მ. ბერეჟიანისამ—ერთი ლამფისა და ორი შანდლის დასადგმელი;

ვაჭარმა ზედგინიძემ—ორი ბრელოკი, ერთი ბროშკა და ერთი სათამაშო საათი;

უცნობისაგან—ვერცხლის 12 ბრელოკი და ორი სათითე—ახალციხურის ხელოვნებისა;

მარიამ ხოჯოვანიშვილისამ—ოქროს პატარა ძეწკვი;

ზინაიდა ათაბეგიშვილისამ—წერილების ხავერდის ჩასაწყობი და საათის ჩუსტი;

ეკატერინე ქაჩხოევისამ: ერთი წყვილი ვერცხლის ქინძისთავი და ზაპონკები;

მარიამ გამრეკელისამ:—გიშრის „მედალიონი;“

თამარ ქაჩხოევისამ—წიგნში ჩასადები ნიშანი და ნემსების ბალიში;

მარიამ გოგინაშვილისამ—ორი წიგნში ჩასადები ნიშანი და საათის ჩუსტი;

სოფიო მეფისაშვილისამ—ნემსების ბალიში;

პატარა ქალმა—საათის ჩუსტი; ოქრომჭედელმა დავით გიორგის ძე თეთრაძემ—14 მან. და ათი შაურის სხვა-და-სხვა ნივთები;

ელენე ქაჩხოევისამ—საათის ჩუსტი;

ანნა გრიგოლის ასულმა პეტრიაშვილისამ:—ღაზლის ძაფით ნაკერი ეტაჟერი და ყვავილების კალათა;

სოფიო გრიგოლის ასულმა ჩხიკვაძისამ:—ღაზლის ძაფით ნაკერი სადარბაზო ბარათების ჩასაწყობი და მიხაკისაგან გაკეთებული ყვავილების კალათა.

## ახალი ამბავი

—

*** დ. საჩხერე: ჩვენსკენ ავდრები და ცუდი ამინდებია, რის გამოც ხვნა-თესვა შეწყვეტილია და თუ ასე გაგრძელდა კიდევ, აქაურს გლეხკაცობას შიმშილი მოელის.

*** ექვს მაისს, საღამოთი, მცხეთის სადგურიდგან საგანგებო მატარებლით ტფილისს მოვიდა სასჯულო საქმეთა მინისტრი ტ. ს. ნ. ვ. მურავიევი, რომელსაც თან ახლდნენ ტფილისის სამოსამართლო პალატას უფროსი თავმჯდომარე ვრასსკი, სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი სმიტტენი, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბიკოვი და სხვა. ტფილისის სადგურზედ, სამოსამართლო უწყებაში მოსამსახურეთა გარდა, ბ-ნ მინისტრს დაუხვდნენ: თავმჯდომარე კავკასიის მთავარ-მართებლისაგან, ტფილისის კომენდანტი გენერალი რეიტერი, პოლიცმეისტერი მასტიცკი და სხვა. ნ. ვ. მურავევი რკინის გზის სადგურიდგან სასახლისაკენ გაემართა, სადაც ბინა აქვს მომზადებული.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულს ლატარია-ალეგრის ხალხი ბევრი დაესწრო. ბილეთები სრულიად გაიყიდა. წმინდა შემოსავალი ორას თუმნამდეა.

*** სოფ. ალპანა, (ლეჩხუმის მაზრა): ჩვენში გავრცელებული ხვნა-თესვაა. თუ ღმერთმა ბრძანა ® მოსავალს კარგი ამინდი დაუდგა, ცოტათი მაინც წელში გაიმართება გლეხობა, თორემ თქვენი მტერი, რომ მთლად წყალწაღებული დარჩება. ეს სამი წელიწადია ზედი-ზედ მოუსავლობა ეწვია ამ საზოგადოებას და მეტად შეწუხდნენ აქაურები. სიმინდს ფუთობით ყიდულობენ და ისე იკვებებიან, ამას ზედ დაუმატეთ ათასი სხვა-და-სხვა გარდასახადი და მიჰხვდებით, რა გაჭირვებაში უნდა იყოს ხალხი. ამას წინ ბეგარაზედ გამოიწვიეს აქაური მცხოვრებნი, რომელთაც გააწმენდინეს ცაგერისაკენ მიმავალი გზატკეცილი; როგორც ამბობენ, გზათა უწყებას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული ეს გზა, მაგრამ ხალხი მაინც ამუშავეს.

*** სოფ. ზოგიში: მარტის ნახევარში ველოდით ბორნის გაკეთებას რიონზედ, მაგრამ დღესაც არსადაა. კარგს-კი იზამდა, ვისიც ჯერ არს, რაიმე განკარგულება მოეხდინა ბორნის გაკეთების შესახებ; მით უმეტეს, რომ ეს არც ისე ძვირად დაჯდება და შემოსავალიც ექმნება.

ორს მაისს ჩამოატარეს ცაგერიდგან ბორკილებით ურემზედ დაკრული ს. გვენცაძე, რომელსაც ბრალდება რაჭველის ვაჭრის პ. რეხვიაშვილის მოკვლა.

*** ს. ბოდბის-ხევი, (კახეთი): ამას წინად გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ერთს იქაურს გულშემატკივარს ყმაწვილს კაცს განუზრახავს ამ სოფელში სამკითხველო დააარსოსო. ახლა სწერენ: რაც შეეხება ნივთიერს ღონისძიებას სამკითხველოსათვის, ამაზედ სხვამაც ბევრმა აღგვითქვეს დახმარება, ხოლო კაცი-კი, რომელსაც შეეძლოს იკისროს სამკითხველოს ხელმძღვანელობა, არა ჩანსო. საკვირველია ღმერთმანი, ამ სოფელს ჰყავს ნასწავლი მამასახლისი და მასწავლებელი, ნუ-თუ ამ ორში ერთი არ შეუძლიან იტვირთოს ეს საქმე?

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არა-ჩვეულებრივი კრება.

7 მაისს.

სხდომა გაიხსნა $11^1/_2$ საათზედ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის თავმჯდომარეობით. კრებას ორი უმთავრესი საგანი ჰქონდა განსახილველად. პირველი: ბანკის წესდების იმ მუხლების შეცვლა, რომელნიც შეეხებიან დამფუძნებელთ და სხვა წევრებს და მეორე არწრუნისეულ ქარვასლის შესახებ. ეს ორივე საგანი წინანდელ საგანგებო კრებისაგან კომისიას ჰქონდა შესამუშავებლად და ვალად ედოთ, როდესაც შეამუშავებდნენ, წარედგინათ გუბერნიის მარლისათვის და ეს უკანასკნელი-კი წარადგენდა ამ პროექტებს, სადაც ჯერ არს. პირველ საგანზედ კომისიის აზრი მდგომარეობს შემდეგში: თავად-აზნაურთა ბანკის კრება უნდა შესდგეს სულ 300 წარმომადგენელთაგან; ამათში 150 უნდა ეკუთვნოდეს დამფუძნებელთ, 75 ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და 75 მსესხებელთ.

თავ. დ. ავალიშვილი. ჩვენ უნდა ვიქონიოთ სჯა მაგ საგანზედ. არა მგონი, რომ წინანდელს კრებას ისრე დაედგინოს ეგ საგანი, რომ კომისიის პროექტი პირდაპირ წარედგინოს მინისტრს დასამტკიცებლად.

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. სწორედ ეგრე დაადგინა და თქვენ თვითონ ხელი გაქვთ მოწერილი ამ დადგენილებაზედ.

თავ. დ. ავალიშვილი. მე უარს არ ვყოფ, რასაკვირველია, ჩემის ხელის მოწერას და თუ საქმე ეგრე არის—მაშინ მოგახსენებთ შემდეგს: რადგან მაგავე საგანზედ ბანკის საგანგებო კრებამ, ჩვენ, გამგეობას მოგვანდო პროექტის შემუშავება და ეს პროექტიც მზად არის; არ შეიძლება რომ შევათანხმოთ ორივე პროექტები ერთმანერთს,—მივიღოთ ის, სადაც რა სჯობიან და ერთი შემუშავებული პროექტი წარედგინოს მინისტრს. თქვენცა და ჩვენც რომ გავგზავნოთ ცალ-ცალკე, შეიძლება საქმე უფრო ცუდად წავიდეს.

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. ამ სხდომაზედ ჩვენ შეგვიძლიან ვიქონიოთ სჯა მხოლოდ იმაზედ, რაც გუბერნიის თავად-აზნაურობას შეეხება და რაც დადგენილია წინანდელის კრებისაგან, იმას ვერ გადავუხვევთ. ჩვენი შეკრებილება სულ სხვა არის. ჩვენ შევადგენთ ისეთს დაწესებულებას, რომელზედაც კანონმდებელს მოხსენებული აქვს თითქმის ყველა იმპერიის კანონებში და თქვენ კი უბრალო კომერციული კრება გაქვთ. თქვენის კრებისა და ჩვენი დადგენილებანი სულ სხვა-და-სხვა გზაზედ უნდა წავიდნენ,—თქვენ საქმე გაქვთ ფინანსთა მინისტრთან და ვინ არის იმისი თავდები, რომ რაც დღეს მოგცემთ დღევანდელი მინისტრი, იმას არ შესცვლის ხვალინდელი—მაშინ როდესაც ჩვენი პროექტი წარუდგება შინაგან საქმეთა მინისტრს და რასაც თავად-აზნაურობას ერთხელ მისცემენ, იმისი წართმევა უფრო ძნელი იქნება. ამას გარდა ჩვენ უნდა ავასრულოთ პროტოკოლით დადგენილება, პირდაპირ გავგზავნოთ ეს კომისიის პროექტი—ამაზედ სჯა არ იქნება. დრო არის თავად-აზნაურთა ხმა ამოვიღოთ! ბანკი უნდა იყოს თავად აზნაურებისა და არა სხვა უცხო ვინმესი!..

თავ. ნ. კ. ორბელიანი—თუ ბანკის გამგეობას ჰნებავდა ეგრე შეცვლილიყო ბანკის წესდება, აქამდისაც მოახერხებდა, მაგრამ...

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. მე გთხოვთ, საგანს ნუ ასცდებით; აქ ადგილს არ მივსცემ ერთი მეორესთან კამათობას!

თავ. ვაჩნაძე. გამგეობას თავისი პროექტი უნდა თავად-აზნაურობისათვის წარედგინა და იმას-კი ზედამხედველი კომიტეტისათვის წარუდგენია ბანკის კრებაში შესატანად. რა შუაშია აქ ზედა-მხედველი კომიტეტი?

თავ. დ. გურამიშვილი. ეგ შემცდარი აზრია...

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. თქვენ საგანზედ ილაპარაკეთ?

თავ. დ. გურამიშვილი. მე მინდა პასუხი გავსცე თ. ვაჩნაძეს: ბანკის წესდების ძალით გამგეობის აზრი ჯერ ზედა-მხედველმა კომიტეტმა უნდა განიხილოს და მერე ბანკის საგანგებო კრებამ!

კრებამ მიიღო კომისიის პროექტი და სთხოვა მარშალს მალე წარადგინოს მინისტრთან.

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. თქვენისსავე გარდაწყვეტილებით მე შევუდექი არწრუნისეულის მამულის სყიდვას თავად-აზნაურობის სახელზედ—თავდაპირველი ხელ-შეკრულობა კიდევაც სუფევს ჩემსა და გამგეობის შორის, მაგრამ ეს საქმე შეჩერებულია ბანკის კრებამდის—რას ინებებთ ამ საგანზედ?

ბატ. სავანელი. თავ. ილია აქა ბრძანდება და დავეკითხოთ, რას გვიბრძანებს?

თავ. ი. ჭავჭავაძე. ეგ საქმე ჯერ თვითონ ბანკის კრებას შეეხება. შარშან კრებამ გარდასწყვიტა მამული დამტკიცდეს ბანკის სახელობაზედ—სანამ ეს გარდაწყვეტილება ძალაშია, არაფერი არ შეიძლება.

კრებამ დაადგინა, სთხოვოს გამგეობას, რომ იშუამდგომლონ კრებასთან, რომელიც დღეს, სამშაბათს, იწყება, რომ უარ-ჰყოს თავისი დადგენილება და მამული თავად-აზნაურობას დაუმტკიცოს.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. აქვს-კი თავად-აზნაურობას საშუალება, ეს მამული შეიძინოს?

თავ. კ. მუხრან-ბატონი. როდესაც თავად-აზნაურობას ჰსურს შეიძინოს—იმას უფლება არ აქვს—ამისათვის არ გამოსძებნოს საშუალება!

კრებამ დაადგინა, მადლობა უძღვნას თავ. ზ. ერისთავს შეწირულებისათვის და ამოირჩია კომისია, თუ როგორ განაგონ ამ შეწირულ მამულის საქმე.

დასასრულ კრებამ აირჩია ორი დირექტორი, წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა სახელმწიფო ბანკში. ხმის უმეტესობით აირჩიეს თავ. ხერხეულიძე და თავ. ვ. ჩოლოყაშვილი.

კ. მესხი.

## კორესპონდენცია.

—

**სად. ქარელი.** აქ ახლა დიდი მითქმა-მოთქმა არის „ნასწავლ“ კაცს ამოირჩევენ მამასახლისად, თუ უსწავლელს.—ნასწავლ მამასახლისების მნიშვნელობაზედ არა ერთხელ ყოფილა ბაასი ჩვენს გაზეთებში; ყოველ ცოტაოდნად შეგნებულ კაცისათვის ცხადია, რამდენი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას ნასწავლმა მამასახლისმა. ბევრს სოფელში აირჩიეს ნასწავლი მამასახლისი; ეგონათ, ცოტა რასმეს მაინც შესძენს სოფელს ნასწავლი კაციო, მაგრამ გლეხობა აქაც მოტყუვდა, ნასწავლმა მამასახლისებმა ვერ გაამართლეს ხალხის მოლოდინი და დღეს ისევ უსწავლელს მამასახლისს ამჯობინებენ ნასწავლს და სხვა... რად აიყარა გული ხალხმა ასე უცებ „ნასწავლ მამასახლისებზედ“? აი, პასუხი: მდაბიო ხალხს ჰგონია, რომ ვინც რუსულად ლაპარაკობს, სწერს და მასთანავე ცოტაოდენი კანონებიც იცის, ის უეჭველია, ნასწავლი კაციც უნდა იყოსო. ამისთანა „ნასწავლი კაცები“ მართლაც ბევრი სცხოვრობს სოფლებში; ყველა მათგანს მშვენიერად აქვს შეგნებული, როგორ უნდა

იმოქმედოს, როგორ უნდა მოხიბლოს დაპირებით სოფლის „თავი კაცები“. რას არ ჰპირდება ეს ვითომდა ნასწავლი. ის გზებსაც გაუკეთებს, სკოლასაც მოუწყობს, ხარჯიც კანონიერად, შეძლებისა დაგვარად გადაჰხდება სოფელს და რამდენს კიდევ ახალს სხვას რასმეს გააკეთებს მისთანას, რომ სოფელს თვალითაც არ ენახოს, ყურითაც არ გაეგონოს. აკი მართლაც ამართლებს „ნასწავლი მამასახლისი“ თავისს სიტყვებს. უცბად მთელს სოფელში გავარდება მის, „ნასწავლ მამასახლისის“, შესახებ იმისთანა არა სანატრელი ხმა, რომ ხალხს აქნობამდის თვალითაც არ უნახავს და ყურითაც არ მოუსმენია. რად ხდება ეს ასე? მიტომ, რომ ზემოხსენებულნი „ნასწავლნი“ მართლა განათლებულნი, ნასწავლნი-კი არ არიან, არამედ ფრიად დახელოვნებული გაიძვერანი. შეიძლება, მკითხველო, დავუძახოთ „ნასწავლი კაცი“ მას, ვინც მეორე მესამე სამოქალაქო სასწავლებლის კლასიდგან გამოსულა, მოსულა თავისს სოფელში, მიჰყოლია ნიადაგ ქეიფსა და დროს გატარებას, დაუმონებია თავისი თავი უაზრო, უმნიშვნელო ცხოვრებისათვის?! ვიმეორებ, მართლაც ნასწავლს მამასახლისებს-კი არ უღალატნია ხალხისათვის, არამედ უღალატეს მათ, ვინც მხოლოდ სახელს ატარებს „ნასწავლის კაცისას“, და თითონ-კი არა გაეგება-რა სწავლისა და განათლებისა... იქ, სადაც ნამდვილი განათლებულნი მშრომელნი ამოირჩიეს მამასახლისად, კიდეც მოუტანეს სარგებლობა სოფელს და ემსახურებიან სიმართლით. დროა, მიაქციოს ჩვენმა შეგნებულმა ყმაწვილ-კაცობამ ყურადღება ზემოდ ნათქვამს მოვლენას, თვარა ჯერ მაინც არ არსებობდა მტკიცე კავშირი შეგნებულ ყმაწვილ-კაცთა და ხალხს შორის და რადა ამისთანა გარემოებანი გვექირვებოდა!

სალიგვერდელი.

---

## მამულის შვილებს

—

გხედავთ, ჭაბუკნო, ნამდვილი სწავლით,
მეცნიერებით განათლებულებს,
მიძმე ხალხისთვის თავ-შესაწირად
გულით და სულით დამზადებულებს.
თვალ-წინ ვიხატავ თქვენს დანახვაზედ
შავ-ბედისაგან გაწამებულებს,
ბოროტ-სულთაგან ტანჯულ-წამებულთ,
ლატაკებს სიკვდილ მოწყურებულებს,
რაღაც იმედი მენთება გულში,
და ცრემლებსა ვღვრი ამდუღრებულებს.
თქვენ არა ჰგევხართ ორფეხა მგლებსა:
ჯიბე-კუჭისთვის თავდადებულებს,
ულვთო კაენებს, წყეულს იუდებს,
ფუჭის ჯილდოსთვის გაგიჟებულებს,
დიპლომიანსა მლოღავ მატლებსა,
ჭამა-სმისათვის დაბადებულებს,
გრძნობით, გონებით და სინიდისით
მიწის პირამდე დამდაბლებულებს,
აი, ამისთვის ვხარობ, რომ გიმზერთ,
და ცრემლებსა ვღვრი ამდუღრებულებს.

დ. მაჩხანელი.

---

## აჭარა

(შემდეგი *).

64, ქედა-მახუნცეთი. 32 კომლი. გადასახლდა 20 კომლი. ამ სოფლის წინ აჭარის წყალზედ არის ერთი ძველი ხიდი, რომელსაც აქაურნი თამარ მეფის ნაკეთებათ ალიარებენ. როცა აჭარაში თავდგირიძეები გაძლიერებულან, მაშინ ესენი ამ სოფელში დასახლებულან. ამ სოფლის სასაფლაოზედ ერთი საფლავის ქვა აჩენს, რომ თავდგირიძეები ქობულეთიდგან გამოსულნი და აქ მოსულნი 1760 წ. გათათრებულან. ამ გვარის წევრთა ბრძოლაც თითქმის ამ დროდგან იწყება აჭარის სხვა ბეგებთან. ამბობენ, რომ ვითომც ალი ფაშა და ოსმან ფაშა აქაურები იყვნენო. უკანასკნელ ომის შემდეგ, როგორც ფანატიკები, მთლად ოსმალში გადასახლდნენ. აქ ამათის გვარისა ერთი კაცი დარჩენილა. აქ აქვთ ჯამე და ხოჯას სასწავლებელი, ბავშვებს თათრულს ასწავლის.

65, კვირიტაული. 15 კომლი.

66, ზაბუნაშვილები, 60 კომლი. მშვენიერი სოფელია. აქვს ჯამე, ჯამეს გვერდით სასწავლებელი, ხოჯა ქართველ ბავშვებს მხოლოდ არაბულს ასწავლის; ძველად ამ სოფლის წინამძღოლნი ბაბუჩაშვილები ყოფილან, ამათ თავიანთი ციხე და ეკკლესიაც ჰქონიათ, ყველა ესენი ოსმალებს გათათრების შემდეგ მოუსპიათ, რადგანაც ბაბუჩაშვილებს ოსმალთ წინააღმდეგ კარგა ხანს უბრძოლიათ თავიანთის კოშკიდგან.

67, ბელტური. 13 კომლი. ეს სოფელი გაყიდულ იქმნა 1830 წლებში ლალა ფაშას ჯამეს სასარგებლოდ. ეკკლესია მთლად დაუქცევიათ. სოფელი ბოლოს მოსპობილა.

68, დოლოგანი. 60 კომლი. მცირე რიცხვი გადასახლდა ოსმალეთში. აქ ამბობენ, რომ ამ სოფელს ძველად ბოლოგანი ერქვაო და აქედგან გაკეთდა დოლოგანიო. თვით სოფლის ადგილ-მდებარეობაც ისეთია, რომ ძალიანაც შეიძლება ბოლოგანი რქმევიყოს. მისავალი გზები ისეთია, რომ ყველას ბოლოს აქვს განი, თავში და შუაში-კი ვიწრო. ძველად აქაურ სოფლის აზნაურებათ საფარაშვილები ყოფილან. ქრისტიანობის დევნის დროს მაჰახლიდგან ესენი აქ გადმოსულან. ბოლოს აქაც გასჭირებიათ საქმე და გათათრებულან. ბევრნი ამათთაგანნი სტამბოლისკენ გაქცეულან და იქ გაფრანგებულან. დოლოგანში ძველად ეკკლესია და კოშკიც ჰქონიათ საფარაშვილებს, თუ საფარაძეებს, მაგრამ ყველა ეს მოსპობიათ გათათრების შემდეგ. 1830 წ. ერთს ვიღაც ქართველ მდიდარ ბეგის ცოლს ეს სოფელი ოსმალოს მთავრობისაგან შეუსყიდნია და ლალა ფაშის ჯამესთვის შეუწირავს. გასყიდვის დროს სოფლის მცხოვრებნი მწარედ ტიროდნენ თურმე,—ეგონათ, რომ ხანუმამ ვაი თუ იქ გადაგვასახლოსო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ამათ მხოლოდ წლიური ხარჯი დაადვეს და ესენი ამ ხარჯს ყოველ წელს ხსენებულს ჯამეს უგზავნიდნენ არზრუმში. 1850 წლებში დოლოგნელებმა ოსმალებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს; ესენი არავის ემორჩილებოდნენ, არც ხარჯის მიცემა უნდოდათ, არც ჯარის გაყვანა. პირველად ამათ ასტეხეს ბრძოლა და ოსმალებს დიდი ძალი ჯარიც გაუწყვიტეს, ესენი ვიწრო გზებში ესაფრებოდნენ და იქიდგან უხოცდნენ ხალხს. ბევრის მეცადინეობით ოსმალოთ ხალხი დაიმორჩილეს; დამორჩილების შემდეგ ესენი პირველად ეცნენ დიდოგანს და გადასწვეს 75 კომლიო. მაშინ აქ 80 კომლი იყოო და მხოლოდ 5 კომლი გადარჩაო. დღევანდელი 60 კომლი 1850 წლების შემდეგ მოშენდაო.

69, საფარა. 10 კომლი. დოლოგანში რომ საფარაძეები გამრავლდნენ, მაშინ ზოგი ამათთაგანნი აქ გადმოსახლდნენ და დასახლდნენ. ამ დროს ესენი ქრისტიანები ყოფილან და აქ პატარა საყდარიც გაუკეთებიათ. საყდარი 1850 წლებში დაუქცევიათ. საფარაძენი—საფაროღლათ იწოდებიან.

70, ჭანიკაძე. 35 კომლი. მცირე რიცხვი გადასახლდა. დოლოგანსა და ამ სოფელს შუა ერთი ეკკლესიის ნანგრევია დაშთენილი. ძველად ამ სოფლის მებატონენი ჭინკაძენი ყოფილან. თათრობის გამო ჭინიკაძენი მაჰახლიდგან გამოქცეულან და აქ მოსულან, ჯერ დოლოგანში დასახლებულან და მერე აქედგან გადმოსულან ამ ალაგას და სოფელი გაუშენებიათ. გათათრების შემდეგ ოსმალთ ამათთვის აღიობა მოუციათ. იმიტომაც დაჰრქმევია ამ სოფელს სახელად მათი გვარი. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა. ხოჯა თათრულს ასწავლის ბავშვებს, მაგრამ მაინც ვერავის რა უსწავლია.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „ივერია“ № 95.

---

## კავკაველ ქართველების პირმშო შვილი.

ქალაქი კავკავი საზოგადოდ სასიამოვნო სანახავია თავისის გარეგანის შეხედულობით; მეტადრე იმ ქართველს კაცს, რომელიც თავისს ოღრო-ჩოღრო, ვიწრო ქუჩებიან და მინგრეულ-მონგრეულ შენობებით სავსე ქალაქებს არ გასცილებია, კავკავი მოკაზმულ პატარძლად ეჩვენება. განიერი, მწვანით სავსე ქუჩები, დიდრონი მოედნები, ფართო გალავნები ეკკლესიების გარშემო, სასეირნო ბაღები და მათ შუა წითელის აგურისაგან აგებული მშვენიერი სახლები ევროპიულს ელფერს სდებენ კავკასიონის კალთებ ქვეშ გაშლილს ფართო ქალაქს.

პირველს შეხედულობაზედ ისე გეჩვენებათ, თითქოს აქ ცხოვრება დუღს და გადმოდისო, აუარებელი ხალხი მოძრაობს ქუჩებში და განუწყვეტლად დასრიალებენ ეტლები, დუქანბაზარი დიდის სისუფთავით არის მოწყობილი. მდიდრულ მაღაზიებში აუარებელი „სავაჭრო აწყვია და თავისის გემოვნებით გაცილებით სჯობიან ჩვენ ტფილისის პირველხარისხოვანს ფირმებს.

სასტუმროებს ნუღარ იტყვი, ფრანცია, ევროპა, როსსია, საქართველო ერთმანეთს ეჯიბრებიან გარეგანის სიმშვენიერით და შიგნიდგან კეთილგანწყობილებით.

ერთად-ერთი კუნჭული, ერთად-ერთი ძეგლი, რომელიც ეხლა ქართველების აქ ყოფნას ამტკიცებს, არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლა. ამ სკოლის შენობა თავისის ლაზათიანობით საერთო ჰარმონიას არ არღვევს, ამის ამგებებს კარგად სცოდნიათ, რომ გარეგანი შეხედულობა უთუოდ უნდა შეეფერებოდეს შინაგანს და ეს ერთად-ერთი ტაძარი ჩვენის ეროვნების წარმომადგენელი აქ მშვენიერად მოუწყვიათ. დიდ მოედნის თავში, ქალაქის ტაძრის პირდაპირ გამოჭიმულა ეს ალისფერი, სუფთა, რიგიან გეგმაზედ აგებული შენობა და გულს სიხარულის ფანცქალსა ჰგვრის თავისის წარწერით: „ქართული სკოლა“.

ქართულს სკოლას ყველა იცნობს; რუსი, ოსი, სომეხი, ინგუშიც-კი; ვისაც დაეკითხე, ყველამ დაუყოვნებლივ მიმასწავლა; მაშასადამე, ქართულს სკოლას კავკავში უკანასკნელი ალაგი არ უჭირავს. პირ იქით ამ სკოლას ჰპატრონობენ და თანაუგრძნობენ იმათთანანი, რომელნიც ცნობილნი და პატივცემულნი არიან მთელს ქალაქში.

კავკავის სკოლა ერთი იმ ზნეობრივ კავშირთაგანია, რომელსაც ყველა წოდების წარმომადგენელნი ქართველნი, მდიდარი თუ ღარიბი, ჩინიანი თუ უჩინო ერთად გადაუბამს, ერთის აზრით გაუმსჭვალავს, ერთგვარის სიყვარულით აღუძრავს მათი გული საერთო საქმისათვის. დღეს კავკავის სკოლა შეადგენს ერთს იმ სანუკველს საგანს მთელის აქაურის ქართველებისას, რომლის ბედ-იღბალი ყველასათვის ერთგვარად ძვირფასია და მასზედ ზრუნვა, მისი გაუმჯობესება და წინ-სვლა სანატრელი და გულის ტკივილის საგანია. „აქაურს თითოეულს ქართველს რომ გაუხსენო, სკოლას დახურვა მოელისო“, სთქვა ბ-ნმა კახიძემ, ამ სკოლის მზრუნველმა და დიდმა მოამაგემ, „სახეზედ მკვდრის ფერი დაედება და პირ-ად უბედურებად ჩასთვლისო“.

სკოლაში ოთხმოცამდე ქალ-ვაჟი სწავლობს შესანიშნავის წარჩინებით, ზოგიერთი მეოთხე განყოფილების მოწაფეები ემზადებიან გიმნაზიის მეორე კლასში გადასასვლელად. გარდა პატარა მოწაფეებისა სკოლას ჰყავს კარგა დიდი მრევლი მოზრდილებისაც. ყოველ-კვირა დღეს, წირვის შემდეგ იკრიბებიან ამ სკოლაში ნამყოფნი მოწაფეები, ნოქრები, თვით ხნიანი ვაჭარნიც და ბევრჯელ ინტელიგენციაც და სკოლის ბიბლიოთეკაში *) კითხულობენ ქართულს ჟურნალ-გაზეთებს, მიაქვთ შინ საკითხავი წიგნები და ბევრსაც ჰყიდულობენ. არსად სხვა პროვინციის ქალაქში არ იყიდება იმდენი წიგნიო, როგორც კავკავში, სთქვა იქაურმა მასწავლებელმა; მარტო გუნიას კალენდარი 350 ცალი გაიყიდა ხალხშიო, მაშინ როდესაც ამ სამის წლის წინად ექვსი ეგზემპლიარი ძლივს მიაჩეჩე განათლებულს ქართველებსაო.

გარდა ამისა სკოლას არა აქვს აკრძალული თავისის სურვილისამებრ ჰმართოს ქართული სალიტერატურო საღამოები, ბუნდოვანი სურათები, სპექტაკლები და ამ რიგიანის გართობით, ზნეობრივ გაფაქიზების გარდა, აქაური ქართველები სამშობლოს მჭიდროდ დაუკავშიროს და იმის ავითა და კარგით ასულდგმულოს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სკოლის მზრუნველები თან-და თან უფრო კარგად, უფრო ვრცლად და სავსებით მოაწყობენ სკოლის საქმეს. მაგალითად მალე აღსრულებაში მოიყვანენ თავიანთს განზრახვას საკვირაო სკოლის გახსნის შესახებ და იმითი დააგვირგვინებენ თავიანთს შრომას და გაახარებენ თავიანთს მოშორებულს მოძმეებს.

ეკ. გაბაშვილისა

1895 წ. აპრილი 29.

*) რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ ღარიბია წიგნებით.

P. S. მეორე დიდი საქმე, რომელიც კავკავში მყოფმა ქართველმა უთუოდ უნდა შენიშნოს, არის ჩვენის ცნობილის ნეგოციანტის დ. სარაჯიშვილის არყის ქარხანა; ეს ისეთი დიდი და რთული სავაჭრო საქმეა, ისე წესიერად და განივრად არის გაწყობილი, რომ ამისი მნახველი ქართველს ვეღარ უკიჟინებს ალებ-მიცემობის, ვაჭრობის ნიჭი არ მოუცია უფალს შენთვისაო.

ქარხანა მდებარეობს კავკავიდგან ხუთს ვერსზედ; ამისი აუარებელი შენობანი პატარა ქალაქს წარმოადგენს; თერგის ნაპირზედ, განიერ მინდორზედ, სწორედ კავკასიონის მთების გასავალ კარების პირდაპირ, ტყითა და ველით შემოფარგლულის ქარხნის ლამაზი შენობა სწორედ სანატრელს სურათს წარმოადგენს.

არყის ხდის გარდა, ბ. სარაჯიშვილი აწარმოებს ამ საქმესთან აუცილებლად დაკავშირებულს მეორე საქმეს: ხარებისა და ღორების გასუქებას მოსკოვის ბაზრისთვის; და ამ დიდს მილიონებიანს ალებ-მიცემობას აწარმოებენ სულ ქართველები, დაწყებული მმართველიდგან უკანასკნელ მუშამდე.

ე. გ.

---

## რუსეთის ცხოვრება.

—

ვარშაველი კრესპონდენტი სწერს გაზეთ „ნოვ. ვრემ.“, რომ პოლონეთის საზოგადოება უკმაყოფილო თვალით მიყურებსო. ნამეტნავად მას შემდეგ, რაც ვსწერდი, რომ ვარშავაში უსათუოდ რუსული თეატრი უნდა დაარსდეს მეთქი, აქაური პოლონელები საშინლად გაბრაზებულნი არიან ჩემზედ და მუქარაც-კი შემომითვალესო“.

რასაკვირველია, ასეთი გულ-ფიცხობა პოლონელებისა მეტის-მეტია, რადგანაც ყველასა და ყველგან შეუძლიან თავისის ხარჯით დააარსოს თეატრი, მაგრამ ნეტა რას იქმოდნენ იგივე პოლონელები, ისეთი შემთხვევა რომ ჰქონოდათ, როგორიც გუშინ-წინ მომხდარა მუშტაიდში:

7 მაისს, მუშტაიდში, სადაც „წერა-კითხვის საზოგ“. სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი იყო გამართული, მისულა ერთი ვიღაც ვითომ-და შეგნებული რუსი და უბილეთოდ რომ არ შეუშვიათ ბაღში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ უმართებულოდ ხსენება დაუწყია.

აზამბურელი თათარი გოჭის თავს მეცილებოდაო, რომ იტყვიან—სწორედ ეს არის!

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ლაპარაკი იმის შესახებაო, ამბობს „ნოვ. ვრემია“, რომ ციმბირის რკინის გზაზედ იმუშავონ ტუსაღებმა, უნებურად გვაგონებს, თუ რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ასეთივე საშუალება მოსკოვისა და კიევის რკინის გზა რომ გაჰყავნდათ 1865—67 წლებშიო. სინელნიკოვი, რომელმაც გამოითხოვა ნება, ტუსაღები ემუშავებინა ზემოხსენებულის გზის გაყვანისათვის, 1863 წლის პოლონეთის აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებთაც ამუშავებდა. ტუსაღები იქამდის გულდადებით და ერთგულად მუშაობდნენ, რომ 1865 წელს სინელნიკოვმა შესაძლოდ

[...]სეო უმოწყალესად ეთხოვა პატივება [...]მოხსენებულ ტუსაღებისა და [...]თვისს სამშობლო ქვეყანაში დაე[...]ბრუნებინათ, თუ ყველა არა, ზოგიერთნი მაინც, რადგანაც, სინელნიკოვის აზრით, უმეტესი ნაწილი ტუსაღებისა სრულიად შემთხვევით და უნებურად მოჰყოლოდა აჯანყებაში. ხელმწიფემაო,—მოგვითხრობს სინელნიკოვი თავისს წერილში „ისტ. ვესტნ.“-ში,—

მომისმინა-რა ეს ჩემი შუამდგომლობა, მიბრძანა, რომ ვარშავაში წავსულიყავ და ყველაფერი დაწვრილებით მომეხსენებინა პოლონეთის მთავარ-მართებლის, გენერალ-ადიუტანტ გრაფ ბერგისათვის, და მიკიღებდი-რა გარდაწყვეტილს პასუხს ბერგისაგან, მოხსენება გადამეცა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის.

ფელდმარშალი ბერგი საუცხოვო დიპლომატი იყო; ის სრულის ნდობით მოეპყრო ჩემს შეხედულებას სახელმწიფო დამნაშავეთა შესახებ. ფელდმარშალმა ბერგმა მომანდო მოეხსენებინა იმპერატორისათვის, რომ ის პირიქით სასარგებლოდა სცნობს უკან დაბრუნდნენ ყველა ისინი სახელმწიფო დამნაშავეთაგან, ვინც-კი დანაშაული მოინანია.

ჩემისავე შუამდგომლობით უმაღლესად გაიცა ბრძანება, სახელმწიფო დამნაშავენი სამშობლოში დაებრუნებინათ და მხოლოდ ისინი, ვინც მე მეკვდა ამორჩეული და ცნობილი დაბრუნების ღირსად. ეს უმოწყალესი პატივება იყო მიზეზი იმისა, რომ დანარჩენნი ტუსაღნიც ერთგულად შეუდგნენ მუშაობას. 1866 წელს სამუშაოდ 3,000 კაცი იყო გაყვანილი და ამათში 500 რუსი. ისინი გაიყვნენ 14 ნაწილად და ორ ადგილას სცხოვრობდნენ,—ტულასა და ორლის შუა და ორლისა და კურსკს შუა.

მუშაობა საუცხოვოდ მიდიოდა. სახელმწიფო დამნაშავეთა ყოფა-ქცევა იქამდის სამაგალითო იყო, რომ შუა ზაფხულში ისედაც შემცირებული მეთვალყურეობა ნახევარზედ კიდევ შევამცირე. ბოლო დროს განსაკუთრებული მეთვალ-ყურეობა სრულიად ავხსნათ და მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

3,000 კაციდგან ხელმწიფემ გათავისუფლება ინება და 1,500 სული მათსავე ოჯახს დაუბრუნა.

1867 წელს კურსკისა და კიევის რკინის გზის გაყვანის დროს სულ 1700 ტუსაღი მუშაობდა; ამათში 800 სახელმწიფო დამნაშავე იყო; ნაპატიებ იქმნა 600 კაცი.

თავისს მხრივ რუსნი დამნაშავენიც-კი იქამდის ერთგულად და გულმოდგინებით მუშაობდნენ, რომ ბოლო დროს სინელნიკოვმა იმათაც ნებადართო უმეთვალყუროდ ემუშავნათ.

ეს იშვიათი მოვლენა დეპეშით კაუწყე მინისტრს. მინისტრმა შემდეგი მოკლე, მაგრამ გრძნობიერი პასუხი მომცა: „დიდად მოხარული ვართ“.

ასე თავისუფლად მუშაობდნენო ტუსაღები, განაგრძობს გაზ. „ნოვ. ვრემია“, სინელნიკოვის გამგეობის ქვეშ არა მარტო ამ გზის გაყვანის დროს, არამედ კურსკისა და ხარკოვისა, როსტოვისა და ვორონეჟის რკინის გზის გაყვანის დროსაცა. უნდა შევნიშნოთო,—ამბობს „ნოვოე ვრემია,—რომ სინელნიკოვი იყო ის რუსის გენერალი, რომელმაც თვისის ყურადღებით და ჰუმანურ ქცევით დაიმსახურა თანაგრძნობა და სიყვარული პოლონელთა სამხრეთ-დასავლეთს მხარესა და ვარშავაში სამსახურის დროსაო. ერთხელ სინელნიკოვს აჯანყებულები შეჰხვდნენ უდაბურს ტყეში; ამ დროს სინელნიკოვს სახელმწიფო ფული მიჰქონდა თან. შესანიშნავია, რომ აჯანყებულებმა არამც-თუ ხელი არ ახლეს სინელნიკოვს, პირიქით თვითონვე გააცილეს კარგა დიდს მანძილზედ. ამ ამბავმა თავისს დროზედ დიდი ლაპარაკი გამოიწვიაო,—დასძენს გაზ. „ნოვ. ვრემია“.

—

ჟურნალ „ვესტ. ევრ.“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელიც არჩევს რუსეთის გაზეთების აზრს ჩინეთ-იაპონიის ხელ-შეკრულობის შესახებ და შენიშნავს, რომ

„ეჭვი არ არის, იაპონელები დიდების მოყვარე და მეცადინე ხალხია, როგორც ყველა ერი, რომელსაც აქვს მისწრაფება კულტურულ წინ-მსვლელობისადმი. ამიტომ ამისთანა ხალხთან, რაც შეიძლება მეგობრული განწყობილება უნდა ვიქონიოთ და არ უნდა გავიხადოთ მტრად ჭკვიანი და განათლებული მეზობელი. იაპონია თავისის ადგილის სივრცითა და მცხოვრებთა სიმრავლით სრულებით საშიში არ არის რუსეთისათვის. თუ იაპონიის კულტურულ წინ-მსვლელობაში საშიში ჰპოვა რამე რუსეთმა, ეს იმას მოასწავებს, რომ რუსეთს ეშინიან ოდესმე ოვითაც არ დაადგეს ჩინეთის შინაგან საქმეთა წეს-წყობილებას და არ შეჰვრდეს მისი წინ-მსვლელობა იმ წერტილზედ, რომელზედაც ჩინეთი სდგასო.

—

„მოსკოვ. ვედ“-ი არ არის კმაყოფილი რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთის დიპლომატიის გამარჯვებით შორეულს აღმოსავლეთის საქმეში. დღეს გაზეთს სხვა საგანი დაუხვევია ხელზედ და იმავე ბაქიბუქით ახალს ულტიმატუმს უგზავნის იაპონიას. მართალიაო, ამბობს გაზეთი, ჩვენის მოთხოვნილების აღსრულებას დაგვპირდა იაპონია—მივატოვებ ლიატონგის ნახევარ კუნძულსო,—ასე რომ ეს საგანი პრინციპიალურად მაინც გარდასწყდა. მაგრამ, განა ამას უნდა დასჯერდეს რუსეთი?! დღეს რუსეთის უმთავრესი ყურადღება კორეს უნდა მიექცესო, თუმცა იაპონელებმა კორე სრულიად თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარეს, მაგრამ, როგორც სჩანს, მხოლოდ სიტყვით და არა საქმით.

„კორეს მეფე უთუოდ იაპონიის მინისტრის რჩევითა და დარიგებით უნდა ხელმძღვანელობდეს; იაპონიის ოფიცრები გულმოდგინედ შეუდგნენ კორეს ჯარის გაუმჯობესებას და ვაჭრობის წეს-რიგზედ გაწრთვნას; იაპონიის ვაჭრები აგერ-აგერ ხელში ჩაიგდებენ კორეს ვაჭრობას; იაპონელი ინჟინრები სწრაფად აშენებენ კორეში რკინის გზებს და აგებენ ციხე-სიმაგრეებს; კორეს ყველა ნავთსადგურები იაპონიის ფლოტით არის დაჭერილი! ყველა ეს ცხადად გვიმტკიცებს, რომ იაპონიამ სრულიად ჩაიგდო ხელში კორეს ბედ-იღბალი. ჩინეთის ბატონობა კორეში მხოლოდ სახელი იყო, იაპონიისა-კი—სახრავი იქნება!“

ნუ-თუ რუსეთი მოთმინებით უნდა უცქეროდეს ამ გარემოებას?—კითხულობს მოსკოვის გაზეთი. ნუ-თუ იქამდის უნდა ვიცადოთ, როდესაც გაიაპონებული კორე წყნარ ოკეანისკენ გზას მოგვიჭრის და ფართო ზღვაში გასავალს კარს დაგვიკეტს?!

„ამისი პასუხი მხოლოდ ერთია, განაგრძობს გაზეთი: არა და არა! რუსეთმა უნდა დაიცვას თავისი მომავალი მხნედ და თავიდგან აიცილოს ყველა დამაბრკოლებელი გარემოება“. ამისთვის საჭიროა, გაზეთის ფიქრით, რომ რუსეთმა ახლავ მოითხოვოს იაპონიის პროტექტორატის მოსპობა კორეში! მაგრამ ბოლოს და ბოლოს არც ეს აკმაყოფილებს გაზეთს: ჩვენის ფიქრით, უმჯობესი იქნება რუსეთის პროტექტორატი დამყარდეს კორეშიო. ამას მოითხოვს რუსეთის ინტერესი და ამაზეა დამოკიდებული რუსეთის ბედ-იღბალი აზიაშიო. ევროპაც ვერას იტყვის ამის წინააღმდეგსო და თუ რომელიმე სახელმწიფო არ დასთანხმდება, იმასაც ღირსეულს პასუხს მივცემთო. რუსეთი ისეთი ძლევა-მოსილია, რომ მას არავისი არ უნდა ეშინოდეს და დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს კორეს საქმის გარდაწყვეტაო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

რაჭიდგან სწერს გაზ. „კვალს“ ვიღაც ს. დ—ძე, რომ

„ამ ოთხი წლის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის სად. ქურდამირში მსახურობდა ერთი ახალგაზდა ქართველი, რომელმაც მოგვმართა თხოვნით: „ერთი კარგი მოთხრობა გადმოვთარგმნე დიდად სასარგებლო, განსაკუთრებით მოსწავლე თაობისათვის (სახელად მგონი „შეგირდის დღიური“ უწოდა), მაგრამ, რომ დავაბეჭდვინო, შეძლება ნებას არ მაძლევსო... თუ დამეხმარებით ნივთიერათ, დაბეჭდვის შემდეგ თითო წიგნს უფასოდ მიიღებთო; სხვა სადგურის არ ვიცი და განჯის სადგურის ქართველობამ-კი 16, თუ 20 მან. (კარგათ არ მახსოვს) გადავეცით. მას შემდეგ აგერ მეოთხე წელიწადია და ზემოხსენებულ წიგნისა არაფერი ისმის, აღარც მთარგმნელი ბრძანდება რკინის გზის სამსახურში, რომ დავკითხებოდით; ამიტომ იმედია ამ შენიშვნას შემდეგ პატივცემული პირი გვაცნობებს გაზ. „ივერიის“ ან „კვალის“ საშუალებით, თუ რას მოხმარდა ზემო აღნიშნული ფული“.

ამ შენიშვნის გამო ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით მოვახსენო ბ-ნს ს. დ—ძეს, რომ ზემოხსენებულის წიგნის დაბეჭდვა მთარგმნელის ქალაქში არა ყოფნისა გამო მე მაქვს მონდობილი. ამიტომ გულს ნუ გაიტეხს, რადგან „მოსწავლის დღიური“ იბეჭდება მ. შარაძის სტამბაში, ნახევარზედ მეტი უკვე დაბეჭდილია და ჩქარა დამთავრდება კიდეც მისი დასტამბვა. რამდენადაც ვიცით, მთარგმნელ-გამომცემელს ბეჭდვის ფასი უკვე გარდახდილი აქვს კიდეც. რაც შეეხება წიგნის დაგვიანებას, ამას ბევრი გარემოება გამოუჩნდა მიზეზად და, სხვათა შორის, ისიც, რომ მე თვით მოუცლელად ვიყავი და წიგნის ჩქარი ბეჭდვა ცოტა შეფერხდა.

ა. მ. ახნაზაროვი.

ტფილისი, 8 მაისი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს მთელი პეტერბურგი სადღესასწაულოდ არის მორთული. ისააკის საკრებულო ტაძარში კარის კაცთა და უწარჩინებულესთა თანადასწრებით სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი.

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ცხენოსანთა ჯარის გენერალ-ინსპექტორად დაინიშნა.

უმოწყალესად ებოძათ: კიევის მიტროპოლიტს იოანნიკის წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი; პეტერბურგის მიტროპოლიტს პალლადის—წმიდა ვლადიმირისა 1 ხარისხისა; ვლადიმირის არქიეპისკოპოსს სერგის, ირკუტსკის არქიეპისკოპოსს ტიხონს, იაკუტსკის ეპისკოპოსს მელეტის და კონევსკის ეპისკოპოსს სილიბისტროს—წმ. ალექსანდრე ნეველისა; მოსკოვის მიტროპოლიტს სერგის ბრილიანტის ნიშანი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა; საქართველოს ეგზარხოსს ვლადიმირს—ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზედ სატარებლად. ნოვგოროდის არქიეპისკოპოსს თეოგნოსტს უწმიდესის სინოდის წევრობა ებოძა, ხოლო ლიტვის ეპისკოპოსს იერონიმს—არქიეპისკოპოსობა.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** ხუთშაბათს საღამოთი საშინელი ცეცხლი გაჩნდა. მთელს ქალაქში დაუწველი რამდენიმე ქვითკირის სახლი-ღა გადარჩა. დაიწვა რუსების სამი ეკკლესია, კათოლიკეთა სამლოცველო, რკინის გზის საქონლის საწყობი. დაიღუპა 30-ი კაცი.

**სოფია.** „მირ“-ი იუწყება, რომ სტამბულოვმა 400,000 ფრანკი შეიტანა, რომელსაც სასამართლო თხოულობდა სტამბულოვისა და მის თანამოაზრეების განსათავისუფლებლადაო.

**ვაშინგტონი.** აქაურმა იაპონიის მისსიამ დეპეშა მიიღო, რომლითაც ოფიციალურად აუწყობინებენ, რომ იაპონიასა და ევროპის სახელმწიფოთა შორის უკანასკნელი და დამაკმაყოფილებელი მორიგება მოხდაო.

**ტიანძინი.** შანხაიკვანში ჩინეთის ჯარის კიცებმა ამბოხება მოახდინეს და ქალაქი გაძარცვეს. მცხოვრებლები გაიქცნენ.

7 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს გატჩინის სასახლის ეკლესიაში ხელმწიფე იმპერატრიცების მარიამ თეოდორეს ასულისა, ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, დიდის მთავრონებისა და დიდის მთავრების თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა წირვა. მათ უდიდებულესობათ და უმაღლესობათ ბალში ისაუზმეს.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** ცეცხლმა გადაბუგა 1,500 სახლი—სამი მეოთხედი ქალაქისა. დაიღუპა 20 კაცი. ცეცხლი ქალაქ კობრინსაც უკიდია.

**ყაზანი.** ყაზანის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ გარდასწყვიტა: 3,000 მანეთი გადასდოს მოსკოვში ახაგებ ალექსანდრე მესამის ძეგლისათვის; იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ ყაზანი შეერთებულ იქმნას გასაკეთებლად განზრახულ ჩრდილო რკინის გზებთან.

**ვენა.** აქ მოვიდა რუსეთის ახალი ელჩი გრაფი კაპნისტი.

გარეშე საქმეთა მინისტრმა გრაფმა გოლუხოვსკიმ ფიცი მიიღო.

„Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ დასთა შორის საშინელის განხეთქილების გამო კალნოკმა სამსახურს თავი უნდა დაანებოსო; თუ კიდევ გამეორდა ასეთი გარემოება მაშინ სახელმწიფოს ღირსება დამცირდება და სხვა სახელმწიფოთა შორის სახელი გაუტყდებაო.

**რომი.** კალნოკის სამსახურიდგან გადადგომამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ვატიკანში. აღიარდის მდგომარეობა შეირყა.

8 მაისი.

**პეტერბურგი.** 7 მაისს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, გაჩინოში ვარშავის რკინის გზის სადგურამდის გააცილეს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, რომელიც კავკასიაში წაბრძანდა, მათმა უდიდებულესობამ დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა, დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა, დიდმა მთავრებმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ და ალექსანდრე მიხეილის ძემ.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** დიდს გაჭირვებაში არიან. დაფერფლილს ნამწვს ქვეშ მკვდრებს პოულობენ.

**ათინა,** 7 მაისი. მემკვიდრე ცესარევიჩი საიმპერატორო გემით „პოლიარნია ზვეზდა“-თი პირეიდგან დღეს გავიდა.

**რომი,** 6 მაისი. ფლორენციაში ძლიერად იძრა მიწა. მცხოვრებლებმა მთელი ღამე ქუჩებში გაათენეს. საღამოთი მეორედ იძრა მიწა, მცირედ დაზიანა ხალხი ქალაქსა და გარშემო ადგილებში. რამდენიმე კაცი სუბუქად დაზიანდა. ხალხი შეშინებულია.

**სტამბოლი,** 6 მაისი. საქმის მცოდნე წრეებში ამბობენ, რომ უცხო სახელმწიფოთა გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, რომ რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა პორტას წინადადება წარუდგინა სომხეთა პროვინციებში რეფორმების შეტანის შესახებაო, სარწმუნოდ არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ჯერ გამომძიებელ კომისიის მოხსენება არ მიუღიათო.

**შანხაი,** 6 მაისი. აქაური გაზეთები იუწყებიან, ჩინეთის მთავრობამ ითხოვა, რომ კუნძულ ფორმოზის გადაცემა ჯერ-ჯერობით შეყენებულ იქმნას, ვიდრე ახალი მოლაპარაკება მოხდებოდესო. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა უარი უთხრა და განაცხადა, რომ დადგენილ მშვიდობიანობის ხელ-შეკრულობის პირობათ აღარაფრით არ შევცვლითო.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[illegible] დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

**ჩინებული ქუთათური კირი,**

რომელიც საკვირველი თეთრია შენობისათვის დიდად გამოსადეგი და მტკიცე. იყიდება ვაგონებით ტფილისის ვოკზალზედ—19 კაპ. ფუთი.

ამის შეტყობა შეიძლება ინჟენერ ლავდანსკისთან: დიდი ვოდოვოზის ქუჩა, № 24 (ლალაევის სახლი).

(3—1)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1895 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული . . . | — | — | 34,316 | 43 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზედ: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში. . . | 14,654 | 46 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში . | 348 | 94 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . | 16,640 | 39 | | |
| დ) კორესპონდენტებთან. . | 293,883 | 57 | 325,527 | 36 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ საყოფელად: გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდებისა § 50) . .(220,000) | 203,682 | 57 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა და კუპონთა (50,000) | 45,924 | 89 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . .(76,000) | 86,150 | 78 | 336,758 | 24 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასსაში: | | | | |
| ა) ქუთაისის ბანკ. სასაკუთრონი (47,000) . . . . | 63,600 | 08 | | |
| ბ) სათადარიგო თანხაში ჩარიცხული (4,500) . . . . | 4,707 | 10 | 68,307 | 18 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1895 წლისა . . . . . . | — | — | 1,082 | 65 |
| სესხი გასაცემად დანიშნულნი . . | — | — | 59,300 | „ |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე | 1,610,327 | 95 | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე . . . | 1,243,015 | 56 | | |
| გ) ნაღდის ფულით გადახდილი სესხი . . . . . . | 169,026 | „ | 2,956,500 | „ |
| დ) მოკლე ვადიანნი სესხნი . . | — | — | 103,155 | 49 |
| მსესხებელნი: ა) შეღავათ. გად . . . { დიდ ვად. სესხ. | 128,617 | 94 | | |
| { მოკ. ვად. სესხ. | 7,524 | 02 | | |
| ბ) ვადა გადაც. . { დიდ. ვად. სესხ. | 87,461 | 62 | | |
| { მცირე ვად. სეს. | 4,335 | 81 | | |
| გ) ჯარიმა. . . . . | 7,190 | 67 | 235,130 | 06 |
| ვადამდე გარდასახდელი სესხი გირავნობის ფურცლებით . . . | — | — | 4,800 | „ |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები . | — | — | 2,266 | 50 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . . . . | — | — | 19,700 | „ |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . | — | — | 1,360 | 80 |
| დასაბრუნებელი ხარჯები: ა) მსესხებელთაგან . . . . . . | — | — | 3,250 | 38 |
| ბ) იმ მამულებიდგან, რომელიც ბანკს დარჩა საკუთრებად . . | — | — | 101,354 | 73 |
| ხარჯი: ა) ბანკის მოწყობა-მომართულობისა . . . . | — | — | 1,476 | 91 |
| ბ) მართვა-გამგეობისა . . | — | — | 103 | 85 |
| გ) არა-ჩვეულებრივი . . | — | — | 2,047 | 23 |
| კომისსია კუპონებისა და გირავნობის ფურცლ. განაღდებისა . . | — | — | 5,035 | „ |
| ხუთ % გარდასახადი მოგებისაგან . | — | — | 1,230 | 22 |
| კუპონების ოცის წლის გირავნობის ფურცელთა . . . . | — | — | 3,210 | „ |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4,331,813 | 54 |

| | | |
|---|---|---|
| შენიშვნა: %% ქაღალდები ბანკის კასსაში და კორესპონდენტებთან გირავ. ფურცლები შესანახავად მიბარებული. | 139,100—„ | 12,500—„ |

**პ ა ს ს ი ვ ი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი . . . | 578,122 | 28 | | |
| სათადარიგო თანხა . . . | 93,810 | 35 | 671,932 | 63 |
| გამოსაცემი გირავნობის ფურც. . { $48^8/_{12}$ წ. | 21,000 | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 38,300 | „ | 59,300 | „ |
| გირავ. ფურცელნი, მსვ. მყოფნი { $48^8/_{12}$ წ. . | 513,400 | „ | | |
| { $43^1/_2$ წ. . | 1,116,100 | „ | | |
| { $18^7/_{12}$ წ. | 646,000 | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 681,000 | „ | 2,956,500 | „ |
| სესხად გარდასახადი თანხა . . { $48^8/_{12}$ წ. | 1,566 | 94 | | |
| { $43^1/_2$ წ. . | 6,442 | 98 | | |
| { $18^7/_{12}$ წ. | 35,855 | 88 | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. | 12,797 | 76 | 56,663 | 56 |
| თანხა სარგებლისა: { 6%-იანისა . | 52,863 | „ | | |
| { 5%-იანისა . | 29,860 | „ | 82,723 | „ |
| მომავალი გარდასახადი . . | — | — | 39 | 55 |
| ფული, გადადებული საზღვევლად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში, გამოსულთა . . . | 286,600 | „ | | |
| ბ) გირაოს ფურც. კუპონებით. | 88,490 | 50 | 375,090 | 50 |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ნაღდის ფულით { $43^1/_2$ წ. . | 11,077 | 52 | | |
| { $18^7/_{12}$ წ. . | 34,036 | 58 | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. . | 98 | 11 | | |
| | 1,345 | 53 | 46,557 | 74 |
| გირავნობის ფურცლებით . . | — | — | 4,800 | „ |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 8,331 | 24 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა . . | 18,357 | „ | 26,6[illegible]8 | 24 |
| გარდამავალი ჯამი . . . | — | — | 6,956 | 72 |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები . | — | — | 6,130 | 06 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გარდასახადი . . . . | — | — | 241 | 05 |
| გამოსაცვლელი კუპონების ფურცლები | — | — | 3,210 | „ |
| 5% გარდასახადი კუპონებისაგან . | — | — | 72 | 48 |
| 1894 წლის მოგება . . . | — | — | 34,908 | 01 |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4,331,813 | 54 |

გამგეობა ბანკისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Мая 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე